ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032607847-03
თარიღი: 19.03.2026 13:59
ვადა: 20.04.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01260781409 განცხადების თარიღი: 19.03.2026
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

2025 წლის 26 დეკემბრის 6-18დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032607847-03
19.03.2026 : 13:59
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01260781409**
თარიღი: **19/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო ზურაბ,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N 2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, განმარტებით ბარათსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 18 მარტის N26.463.466 განკარგულებას.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 26.463.466
18 / მარტი / 2026 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 75-ემუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახა აბულაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

დანართი
პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2026 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 30/12/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017384) და დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №3):

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2 700 ბენეფიციარი."

ბ) მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 8. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით, წლის განმავლობაში ერთჯერადად გაიზრდება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა, ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, უპირატესობა მიენიჭებათ ქვეპროგრამაში ჩართვით დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) წარმოდგენილი აქვთ განცხადება მიმწოდებლისთვის, ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით. ამასთან, ქვეპროგრამით მოსარგებლეს უფლება აქვს, შეიცვალოს დაწესებულება. ამისათვის, ის განცხადებით მიმართავს იმ მიმწოდებელ დაწესებულებას, რომელშიც სურს გადასვლა. ხოლო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ვაკანტური ადგილის გაჩენის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება დაწესებულების შეცვლის მსურველ იმ მოსარგებლეს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას."

გ) მე-9 მუხლის

გ.ა) პირველი პუნქტის:

გ.ა.ა) „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ვ) არაუმეტეს 50 ბენეფიციარზე, ჰყავდეს არანაკლებ 1 ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სფეროში (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი), და/ან მიღებული აქვს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული BCaBA/QASP-S საერთაშორისო სერტიფიკატი (აღნიშნული მოეთხოვება მხოლოდ 2023 წლიდან ჩართულ მიმწოდებლებს) და ასრულებს სუპერვაიზერისათვის განკუთვნილ მრავალფეროვან სამუშაოს, რომელიც დელეგირებული და გაკონტროლებულია ქცევის ანალიტიკოსის (BCBA/IBA/QBA საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე) მიერ. აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად, ანაზღაურებით ჩატარების სულ მცირე 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება. ამასთან,

თუ ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, ის ქვეპროგრამის ფარგლებში, ჯამში უნდა მართავდეს არაუმეტეს 50 ბენეფიციარს (რომლებსაც ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით ესაჭიროება გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია) და ზედამხედველობას უწევდეს ამ ბენეფიციარებთან დასაქმებულ ქცევის ტექნიკოსებს;"

გ.ა.ბ) „ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ზ. ჰყავდეს ქცევის ტექნიკოსი, რომელიც არის მინიმუმ ფსიქოლოგიის ან მომიჯნავე სფეროს (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი და/ან ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ტექნიკოსი; გავლილი აქვს 40-საათიანი ტრენინგი ქცევის გამოყენებით ანალიზში და მუშაობს ქცევის ანალიტიკოსის ან ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტის სუპერვიზიის ქვეშ და რომლისთვისაც ქვეპროგრამის ფარგლებში, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა თვეში 160 საათს არ აღემატება;"

გ.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 6. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დაწესებულებებისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს გამოუქვითოს პირობების დარღვევის გამოვლენის თვის შესრულებული სამუშაოს 10%."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 აპრილიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

<u>დანართი</u>
<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2026 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 30/12/2025, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017384) და დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №3):

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2 700 ბენეფიციარი.“

ბ) მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 8. იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით, წლის განმავლობაში ერთჯერადად გაიზრდება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა, ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, უპირატესობა მიენიჭებათ ქვეპროგრამაში ჩართვით დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) წარმოდგენილი აქვთ განცხადება მიმწოდებლისთვის, ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით. ამასთან, ქვეპროგრამით მოსარგებლეს უფლება აქვს, შეიცვალოს დაწესებულება. ამისათვის, ის განცხადებით მიმართავს იმ მიმწოდებელ დაწესებულებას, რომელშიც სურს გადასვლა. ხოლო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ვაკანტური ადგილის გაჩენის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება დაწესებულების შეცვლის მსურველ იმ მოსარგებლეს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას.“

გ) მე-9 მუხლის

გ.ა) პირველი პუნქტის:

გ.ა.ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ვ) არაუმეტეს 50 ბენეფიციარზე, ჰყავდეს არანაკლებ 1 ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სფეროში (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი), და/ან მიღებული აქვს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული BCaBA/QASP-S საერთაშორისო სერტიფიკატი (აღნიშნული მოეთხოვება მხოლოდ 2023 წლიდან ჩართულ მიმწოდებლებს) და ასრულებს სუპერვაიზერისათვის განკუთვნილ მრავალფეროვან სამუშაოს, რომელიც დელეგირებული და გაკონტროლებულია ქცევის ანალიტიკოსის (BCBA/IBA/QBA საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე) მიერ. აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად, ანაზღაურებით ჩატარების სულ მცირე 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება. ამასთან, თუ ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, ის

ქვეპროგრამის ფარგლებში, ჯამში უნდა მართავდეს არაუმეტეს 50 ბენეფიციარს (რომლებსაც ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით ესაჭიროება გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია) და ზედამხედველობას უწევდეს ამ ბენეფიციარებთან დასაქმებულ ქცევის ტექნიკოსებს;“

გ.ა.ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ზ. ჰყავდეს ქცევის ტექნიკოსი, რომელიც არის მინიმუმ ფსიქოლოგიის ან მომიჯნავე სფეროს (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი და/ან ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ტექნიკოსი; გავლილი აქვს 40-საათიანი ტრენინგი ქცევის გამოყენებით ანალიზში და მუშაობს ქცევის ანალიტიკოსის ან ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტის სუპერვიზიის ქვეშ და რომლისთვისაც ქვეპროგრამის ფარგლებში, ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა თვეში 160 საათს არ აღემატება;“

გ.ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 6. ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დაწესებულებებისათვის დადგენილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია მიმწოდებელს გამოუქვითოს პირობების დარღვევის გამოვლენის თვის შესრულებული სამუშაოს 10%.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 აპრილიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის (კოდი: 06 01 06) განხორციელების წესის“ (დანართი №3) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება 2400 ბენეფიციარი.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

გამომდინარე იქიდან, რომ მუდმივად იზრდება მოთხოვნა აღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ ყველა მსურველმა შეძლოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება, იზრდება ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობა, ასევე, ზუსტდება როგორც ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართვის, ასევე მიმწოდებლისთვის დადგენილი დამატებითი პირობები.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-18 დადგენილებაში, კერძოდ აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2400 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით ლიმიტი იზრდება 300 ერთეულით, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 2700 ბენეფიციარი. გამომდინარე იქიდან, რომ მუდმივად იზრდება მოთხოვნა აღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ ყველა მსურველმა შეძლოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება.

ასევე, ცვლილება შედის წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტშიც და ჩნდება ახალი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროგრამის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით, წლის განმავლობაში ერთჯერადად გაიზრდება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა, ლიმიტის ფარგლებში გაჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, უპირატესობა მიენიჭებათ ქვეპროგრამაში ჩართვით დაინტერესებულ პირებს, რომელთა მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს წარმოდგენილი აქვთ განცხადება მიმწოდებლისთვის, ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით. ხოლო ქვეპროგრამაში ჩართვით დაინტერესებული პირების განცხადებების ამოწურვის შემდგომ, უკვე განიხილება ქვეპროგრამით მოსარგებლეთა განცხადებები, რომლებსაც აქვთ უფლება შეიცვალონ დაწესებულება. ამისათვის, ისინი განცხადებით მიმართავენ იმ მიმწოდებელ დაწესებულებას, რომელშიც სურთ გადასვლა. ხოლო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში ვაკანტური ადგილის გაჩენის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება დაწესებულების შეცვლის მსურველ იმ მოსარგებლეს, რომელმაც უფრო ადრე მიმართა მიმწოდებელ დაწესებულებას.

ცვლილება შედის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტშიც, და განისაზღვრება რომ მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს 50 ბენეფიციარზე, არანაკლებ 1 ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი, რომელსაც აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში ან მომიჯნავე სფეროში (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი), და/ან მიღებული აქვს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული BCaBA/QASP-S საერთაშორისო სერტიფიკატი (აღნიშნული მოეთხოვება მხოლოდ 2023 წლიდან ჩართულ მიმწოდებლებს) და ასრულებს სუპერვაიზერისათვის განკუთვნილ მრავალფეროვან სამუშაოს, რომელიც დელეგირებული და გაკონტროლებულია ქცევის ანალიტიკოსის (BCBA/IBA/QBA საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე) მიერ. აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად, ანაზღაურებით ჩატარების სულ მცირე 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება. ამასთან, თუ ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი წარმოადგენს სხვადასხვა მიმწოდებლის მიერ დასაქმებულს, ის ქვეპროგრამის ფარგლებში, ჯამში უნდა მართავდეს არაუმეტეს 50 ბენეფიციარს (რომლებსაც ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით ესაჭიროება გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია) და ზედამხედველობას უწევდეს ამ ბენეფიციარებთან დასაქმებულ ქცევის ტექნიკოსებს. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ ახალი სტანდარტის მიხედვით, არაუმეტეს 50 ბენეფიციარზე არ არის აუცილებელი 5 ქცევის ტექნიკოსის მუშაობა. მას შემდეგ, რაც ქვეპროგრამაში შემოვიდა არასტანდარტული ტიპის მომსახურება, წესის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ჩანაწერი: ერთ ქცევით ტექნიკოსს, ჰყავდეს 10 ბენეფიციარი, შეუსაბამოა წესის პრაქტიკულ განხორციელებასთან, ვინაიდან, არასტანდარტული ტიპის მომსახურების შემთხვევაში, 10 ბენეფიციარს შესაძლოა ჩაუტარდეს 100-120 სეანსი. რაც იმას ნიშნავს, რომ სრულ განაკვეთზე დასაქმებული ქცევითი ტექნიკოსი მუშაობს ნაკლები დატვირთვით. შესაბამისად, მიზანშეწონილია წესიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი ბენეფიციართა რაოდენობის ლიმიტის შესახებ. თუმცა, აუცილებელია ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტი ქვეპროგრამის ფარგლებში, ჯამში მართავდეს არაუმეტეს 50 ბენეფიციარს (რომლებსაც ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით ესაჭიროება გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია) და ზედამხედველობას უწევდეს ამ ბენეფიციარებთან დასაქმებულ ქცევის ტექნიკოსებს.

ასევე, კორექტირებული იქნა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ 2023-2024 წლებში ჩართულ მიმწოდებლებს მოეთხოვებოდათ, რომ მათ ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტს მიღებული ჰქონოდა ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული BCaBA/QASP-S საერთაშორისო სერტიფიკატი. ახალი ჩანაწერის მიხედვით, 2023 წლიდან ჩართულ მიმწოდებლებს მოეთხოვებათ რომ მათ ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტს მიღებული ჰქონდეს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული BCaBA/QASP-S საერთაშორისო სერტიფიკატი. 2023-2024 წლები იყო გარდამავალი პერიოდი BCaBA/QASP-S საერთაშორისო სერტიფიკატების შემოღების თვალსაზრისით და ეს ჩანაწერიც სწორედ მითითებულ დორს გაკეთდა, თუმცა, დღეისათვის უფრო მისაღებია ზემოთ აღნიშნული ახალი ფორმულირება.

ცვლილება შედის წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტშიც, რომლის მოქმედი რედაქციითაც განისაზღვრებოდა რომ დაწესებულებას უნდა ჰყოლოდა 10 მოსარგებლეზე 1 ქცევის ტექნიკოსი, რომელიც არის მინიმუმ ფსიქოლოგიის ან მომიჯნავე სფეროს (სპეციალური პედაგოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი) საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი და/ან ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ტექნიკოსი გავლილი აქვს 40-საათიანი ტრენინგი ქცევის გამოყენებით ანალიზში და მუშაობს ქცევის ანალიტიკოსის ან ქცევის ანალიტიკოსის ასისტენტის სუპერვიზიის ქვეშ. ქცევის ანალიტიკოსისთვის დადგენილი კვალიფიკაციის ნაწილი რჩება უცვლელად და განისაზღვრება რომ მათი ნორმირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა თვეში 160 საათს არ უნდა აღემატებოდეს. ყოველ 10 მოსარგებლეზე 1 ქცევის ტექნიკოსის არსებობა აღარ წარმოადგენს ქვეპროგრამაში ჩართვის აუცილებელ წინაპირობას. ქცევის ტექნიკოსთა სამუშაო გადანაწილდება არა ბენეფიციართა ოდენობის, არამედ ნორმირებული სამუშაო დროის მიხედვით და მიმწოდებელს ეყოლება იმდენი ქცევის ტექნიკოსი რამდენიც საჭირო იქნება იმისათვის რომ ბენეფიციარებს მიეწოდოთ წესით გათვალისწინებული მომსახურება სრულად.

ცვლილება შედის წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტშიც, რომლის მოქმედი რედაქციის მიხედვითაც, განსაზღვრულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ დაწესებულ პირობებს არ შეასრულებს, დაარღვევს, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია, დაწესებულებას გამოუქვითოს პირობების დარღვევის გამოვლენის თვის შესრულებული სამუშაოს 5%. დადგენილების პროექტის თანახმად, ნაცვლად 5%-ისა, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დასაქვითი თანხის ოდენობა განისაზღვრება დარღვევის გამოვლენის თვის შესრულებული სამუშაოს 10%-ით.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.